საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 118

2014 წლის 6 მაისი ქ. ბათუმი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლისა და ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

2. დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს საჯარო ინფორმაციის პასუხისმგებელ პირს მისი მოთხოვნისამებრ მიაწოდონ საჭირო საჯარო ინფორმაცია.

3. ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტს (მ. სარჯველაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

არჩილ ხაბაძე